ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, პირველი შუალედურის საკითხები

1) გურჯაანში დაიბადა საქართველოს მოქალაქისა და იტალიის მოქალაქის შვილი. სააგენტომ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე იტალიის მოქალაქე დედისაგან მოითხოვა თანხმობა. საჭიროა თუ არა თანხმობის მიღება?

2) საქართველოს მოქალაქისა და გერმანიის მოქალაქის შვილიდაიბადა სამხრეთ აფრიკაში. რომელი ქვეყნის მოქალაქეობას მიიღებს ბავშვი.

3) საქართველოს მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირის შვილი დაიბადა ესტონეთში. რომელი ქვეყნის მოქალაქე იქნება ბავშვი?

4) ბათუმში დაიბადა საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე ბავშვი. როგორ გადაწყდება მისი მოქალაქეობის საკითხი?

5) საქართველოს მოქალაქე მეუღლეები გახდნენ თურქეთის მოქალაქეები. როგორ გადაწყდება 11 წლის შვილის მოქალაქეობის საკითხი?

6) საქართველოს მოქალაქეებმა იშვილეს პოლონეთის მოქალაქე. რომელი ქვეყნის მოქალაქე იქნება ბავშვი?

7) ბავშვი, რომელიც საქართველოს მოქალაქეა, შვილად აიყვანა ინდოეთის მოქალაქეებმა. შეიძლება თუ არა, რომ ბავშვმა შეინარჩუნოს მოქალაქეობა?

8) საქართველოს მოქალაქე დაქორწინდა ბულგარეთის მოქალაქეზე და მოითხოვა საქართველოს მოქალაქეობის

მინიჭება მეუღლისათვის. დაკმაყოფილდება თუ არა მისი მოთხოვნა?

9) ქმედუუნარო ბავშვის მეურვემ მშობლების ინტერესების გარეშე მოითხოვა ბავშვის მოქალაქეობის შეცვლა. როგორ გადაწყდება საკითხი?

10) საქართველოს პრეზიდენტმა მოქალაქეობა მიანიჭა მეურნეობის მინისტრის მოადგილეს, რომელიც იყო ესპანეთის მოქალაქე და 1 კვირაში მოითხოვა მეუღლისათვის მოქალაქეობის მინიჭება. მოთხოვნა დაკმაყოფილდა. კანონიერია თუ არა?

11) საბერძნეთში მუდმივად მცხოვრებ დათას, რომელიც მოქალაქეობიდან გავიდა 20 წლის ასაკში, შეუძლია თუ არა საქართველოს მოქალაქეობის აღდგენა?

12) ვ. მჟავანაძე საქართველოს მოქალაქე, მივლინებული იყო აშშ-ის თავდაცვაში, სადაც ის მუშაობდა. შეინარჩუნებს თუ არა საქართველოს მოქალაქეობას?

13) ნადირაძე მონაწილეობდა ორგანიზებული ჯგუფის მიერ დაგეგმილ ყაჩაღობაში. მოიხადა სასჯელი და 1 წლის შემდეგ გადაწყვიტა მოქალაქეობიდან გასვლა. ნასამართლეობის გამო უთხრეს უარი. სამართლიანია თუ არა გადაწყვეტილება?

14) ანი ტყებუჩავა 45 წლის ასაკში წავიდა ისრაელში სამუშაოდ და მიიღო მათი მოქალაქეობა. 10 წლის შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და ნატურალიზაციით მოითხოვა მოქალაქეობის მიღება. მიაჩნდა, რომ აკმაყოფილებდა ყველა მოთხოვნას-იცოდა ენა, ისტორია, სამართალი, და ჰქონდა წილი საწარმოში. უარი უთხრეს მოქალაქეობის მიღებაზე. რატომ?

15) რ. ამაშუკელმა დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა. მიზეზი იყო ყალბი დოკუმენტების წარდგენა. სააგენტომ საჩივარი არ მიიღო მოქალაქეობის დაბრუნებასთან დაკავშირებით. სამართლიანად მოიქცა თუ არა?

16) საქართველოს მოქალაქის დამ, რომელიც საფრანგეთის მოქალქეა, 5 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში, გადაწყვიტა, რომ შეუძლია მიიღოს მუდმივი ცხოვრების ნებართვა. დაკმაყოფილდება თუ არა?

17) საქართველოში მოდის ესპანეთის მოქალაქე, კულტურული დეპარტამენტის უფროსი. უნდა, რომ ჰქონდეს დიპლომატიური ვიზა. შეუძლია თუ არა მისი აღება?

18) საქართველოში დისლოცირებული სამხედრო ბატალიონის მეთაურს მისცეს დიპლომატიური ვიზა. კანონიერია თუ არა?

19) ავსტრიის მოქალაქე სტუდენტმა 7 წლიანი სასწავლო ვიზის ვადის გასვლის შემდეგ მოითხოვა მუდმივი ცხოვრების ნებართვა. დაკმაყოფილდება თუ არ ამისი მოთხოვნა?

20) საქართველოში გიორგი აპირებს ერთჯერადი საქველმოქმედო რონისძიების ჩატარებას. რომელი ტიპის ვიზას მიანიჭებენ მას?